

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგამოფენო და
სარეკლამო მასალის ბეჭდვა და ადგილზე მიწოდების (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით,
დამატებითი რაუნდების გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № 3-1

ქ. ბათუმი

20 იანვარი 2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ჯაბა ბერიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი
მოადგილე, კომისიის წევრი.
ლეილა დავითაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის
წევრი.
ლენა ჩაჩუა - საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.
კომისიის აპარატის წევრი:
ნინო მიქელაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.
სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება სატენდერო კომისიის
თავმჯდომარე თინათინ ზოიძე.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის მიერ საგამოფენო და სარეკლამო მასალის (რუკის) ბეჭდვა და
ადგილზე მიწოდების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო
დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

1. ჯაბა ბერიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების
შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აჭარის ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის მიერ საგამოფენო და სარეკლამო მასალის (რუკის) ბეჭდვა და
ადგილზე მიწოდების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს
ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით,
დამატებითი რაუნდების გარეშე) გზით. შესაბამისად საჭიროა კომისიის მიერ
მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.
2. საგამოფენო და სარეკლამო მასალის (რუკის) ბეჭდვა და ადგილზე მიწოდების
შესყიდვა უნდა განხორციელდეს აჭარის ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის
შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნული შესყიდვის
განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული
ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე)
გამოცხადებას.

დაადგინეს:


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება - აჭარის ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის მიერ საგამოფენო და სარეკლამო მასალის (რუკის) ბეჭდვა და
ადგილზე მიწოდების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:  /ჯ. ბერიძე/

კომისიის წევრები:  /თ. კაიკაციშვილი/

 /ლ. ჩაჩუა/

 /ლ. დავითაძე/

კომისიის აპარატის წევრი:  /ნ. მიქელაძე/